

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს  
რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (გაზეთი „აჭარა“, №57, 31.03.2005) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

**1. მე-6 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ნ) უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცება, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრა;“.

**2. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. პრეზიდენტის მარცხენა მხარეს მოწყობილია ერთი ტრიბუნა გამომსვლელთათვის.“.

**3. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით უმაღლესი საბჭო თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის კომიტეტებს.“.

**4. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და ბიუროს უფლება აქვთ სათანადო წერილობითი დასაბუთების წარდგენით დააყენონ ახალი კომიტეტის შექმნის ან/და არსებულის გაუქმების საკითხი. უმაღლესი საბჭო აღნიშნულ საკითხს წყვეტს ამ მუხლის პირველ პუნქტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის გზით, რეგლამენტის მიღებისათვის დადგენილი წესით.“.

**5. 26-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“<sup>1</sup> ქვეპუნქტი:**

„გ<sup>1</sup>) საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე, უმაღლესი საბჭოს წარუდგენს წერილობით ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველი წლის შედეგების მიხედვით;“.

**6. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 32**

1. კომიტეტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება უმაღლესი საბჭოს კომიტეტის აპარატი, რომელიც წარმოადგენს კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

**2. კომიტეტის აპარატი:**

ა) მონაწილეობს კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომიტეტის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომიტეტის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმის წარმოებას;

გ) ასრულებს კანონმდებლობით, კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს აპარატისა და კომიტეტის აპარატის დებულებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. კომიტეტის აპარატის შემადგენლობაში შედიან კომიტეტის აპარატის უფროსი, კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე და სპეციალისტები.

4. კომიტეტის აპარატის უფროსი:

ა) კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად ახორციელებს კომიტეტის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას, კომიტეტის აპარატის მუშაკთა შორის ანაწილებს ფუნქციებსა და დავალებებს, პასუხისმგებელია კომიტეტის აპარატისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებაზე, კოორდინაციას უწევს კომიტეტის აპარატსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობებს;

ბ) ორგანიზებას უწევს კომიტეტის სხდომების მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას;

გ) უზრუნველყოფს კომიტეტის აპარატის მუშაკთა მიერ შრომის დისციპლინის დაცვას, კომიტეტის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

5. კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე უზრუნველყოფს:

ა) კომიტეტის თავმჯდომარის და კომიტეტის მიერ გამართული სხდომების, ღონისძიებების და საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;

ბ) კომიტეტის თავმჯდომარის და კომიტეტის შესახებ მასსმედიის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თავმოყრასა და სისტემატიზაციას;

გ) ინტერნეტ გვერდისათვის კომიტეტის სხდომების, შეხვედრების, ღონისძიებების გამართვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;

დ) კომიტეტის თავმჯდომარისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის გამართვისას დახმარების გაწევას: ბიუროს მასალების მიწოდებას, ინიციატივების ღარევისტორირებას.

6. კომიტეტის აპარატის სპეციალისტები:

ა) მუშაობენ კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ დარგობრივ მიმართულებათა საკითხებზე; მონაწილეობენ კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომიტეტის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, ანალიზსა და განზოგადლებაში, კანონპროექტებზე დასკვნებისა და მოხსენებების მომზადებაში, კომიტეტის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში; ასრულებენ კომიტეტის თავმჯდომარისა და კომიტეტის დავალებებს;

ბ) აღწერს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტების განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

7. კომიტეტის აპარატის უფროსს და კომიტეტის აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეებს, შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.“.

## **7. 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ბიუროს სხდომები სასესიო პერიოდში, როგორც წესი იმართება ყოველ ორშაბათს, ხოლო არასასესიო პერიოდში – საჭიროებისამებრ.“.

## **8. 75-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

### **„მუხლი 75**

საკანონმდებლო პროცესი არის კანონპროექტის მომზადებისა და მიღების ერთიანი პროცედურა, რომელიც გულისხმობს: საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებას, უმაღლეს საბჭოში წარდგენას, უმაღლესი საბჭოს მიერ კანონპროექტის განხილვას, მიღებას, მთავრობის თავმჯდომარისათვის ხელმოსაწერად გადაცემას, მთავრობის თავმჯდომარის უფლებას – შენიშვნებით დაუბრუნოს უმაღლეს საბჭოს მიღებული კანონპროექტი, უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის თავმჯდომარის შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვას, მიღებულ კანონპროექტზე მთავრობის თავმჯდომარის მიერ ხელის მოწერას და კანონის გამოქვეყნებას.“.

**9. 76-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

1. უმაღლეს საბჭოში კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის უფლება აქვთ: მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობას, უმაღლესი საბჭოს წევრს, უმაღლესი საბჭოს კომიტეტს, უმაღლესი საბჭოს ფრაქციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არანაკლებ 2000 ამომრჩეველს.

2. მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეა უფლებამოსილი, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს კანონპროექტები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ.“.

**10. 79-ე მუხლის:**

**ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება:

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება. მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.“.

**ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:**

„5. კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს ამონაწერი კომიტეტის სხდომის ოქმიდან, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.“.

6. მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს ამონაწერი მთავრობის სხდომის ოქმიდან, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.“.

**11. 88-ე მუხლის:**

**ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. უმაღლეს საბჭოში მთავრობის თავმჯდომარის ან მთავრობის ინიციატივით შემოტანილ კანონპროექტზე მომხსენებლად გამოდის მთავრობის თავმჯდომარის ან მთავრობის მიერ სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნული უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს წევრი, ხოლო თანამომხსენებლად - შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენელი. ფრაქციის ან კომიტეტის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე მომხსენებლად გამოდის შესაბამისად, ფრაქციის ან კომიტეტის თავმჯდომარე ან ფრაქციის ან კომიტეტის მიერ დანიშნული წარმომადგენელი, უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე - ინიციატორი უმაღლესი საბჭოს წევრი. 2000 ამომრჩეველის მიერ ინიცირებულ

კანონპროექტზე მომხსენებლად გამოდის საინიციატივო ჯგუფის მიერ არჩეული წარმომადგენელი, ხოლო თანამომხსენებლად - შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენელი.“.

**ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4<sup>1</sup> პუნქტი:**

„4<sup>1</sup>. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას მომხსენებელი სხვა საკითხებთან ერთად სხდომას შეახსენებს, თუ კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვამდე გამოთქმული რომელი შენიშვნა (ავტორის დასახელებით) იქნა გათვალისწინებული, რომელი – არა და რატომ.“.

**გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ კანონპროექტის თაობაზე შეკითხვით მიმართონ მომხსენებელს. თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, ამასთან მან დაზუსტებისათვის შეიძლება ისარგებლოს არა უმეტეს 1 წუთით. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს შეკითხვისა და დაზუსტებისათვის გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. შეკითხვის დასმისა და დაზუსტებისათვის გამოიყენება სხდომათა დარბაზში განლაგებული მიკროფონები. შეკითხვების დასრულების შემდეგ მომხსენებელს უფლება აქვს ერთობლივად უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას, თუ უმაღლესი საბჭო სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.“.

**12. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 92<sup>1</sup> მუხლი:**

**„მუხლი 92<sup>1</sup>**

უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის (ან სხვა აქტის პროექტის) განხილვის დაწყებისას სხდომათა დარბაზში მომხსენებლის ან/და თანამომხსენებლის არყოფნის შემთხვევაში კანონპროექტი (ან სხვა აქტის პროექტი) იხსნება პლენარული სხდომის იმ კვირის დღის წესრიგიდან და გადადის მომდევნო პლენარული სხდომის დღის წესრიგში.“.

**13. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 96<sup>1</sup> მუხლი:**

**„მუხლი 96<sup>1</sup>**

1. უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს უმაღლეს საბჭოში განსახილველად შეტანილი კანონპროექტების აღრიცხვას, იურიდიული, საკადრო და საქმისწარმოების დეპარტამენტთან ერთად აკონტროლებს მათი განხილვის მდგომარეობას საკანონმდებლო პროცესის განხორციელების სტადიების მიხედვით და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას ყოველკვარტალურად წარუდგენს ბიუროს და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს.

2. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას. იგი უფლებამოსილია კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები. კომიტეტი განხილვის შედეგებს საჭიროების შემთხვევაში მოახსენებს უმაღლეს საბჭოს.“.

**14. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის XIX<sup>1</sup> თავი:**

**„თავი XIX<sup>1</sup>**

**ამომრჩეველთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელება**

**მუხლი 105<sup>3</sup>**

1. არანაკლებ 2000 ამომრჩევლის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში წარდგენის უფლების განხორციელების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეები ქმნიან საინიციატივო ჯგუფს, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.

2. საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში გატარების თაობაზე განცხადებით მიმართავს უმაღლესი საბჭოს ბიუროს. განცხადებას უნდა ერთვოდეს კანონპროექტი და საინიციატივო ჯგუფის წევრთა შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი; დაბადების წელი, თვე და რიცხვი; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი; მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი. ეს მასალები ბიუროს უახლოესი სხდომიდან 2 დღის ვადაში, უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გადაეცემა უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს.

3. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი, საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების თაობაზე მასალების გადაცემიდან 3 დღის ვადაში, საინიციატივო ჯგუფს გადასცემს სარეგისტრაციო მოწმობას ან რეგისტრაციაზე ეუბნება მოტივირებულ უარს. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევა.

4. საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს სარეგისტრაციო მოწმობის მიღებამდე გამოითხოვოს რეგისტრაციაში გატარების თაობაზე განცხადება.

5. საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღების დღიდან უფლებამოსილია დაიწყოს კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება.

6. ხელმოწერების შესაგროვებლად უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ დადგენილი ფორმის თითოეულ ფურცელს ხელს აწერს არა უმეტეს 50 ამომრჩევლისა. ხელმოწერების სისწორეზე პასუხისმგებელი პირი აღნიშნავს შემდეგ მონაცემებს: სახელს, გვარს; დაბადების წელს, თვესა და რიცხვს; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერს და პირად ნომერს; მისამართს და ხელმოწერის თარიღს, რასაც ხელმოწერით ადასტურებს ამომრჩეველი. თითოეულ ასეთ ფურცელს ხელმოწერით ადასტურებს საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ხელმოწერების სისწორეზე. მისი ხელმოწერა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

7. შევსებულ ხელმოწერების ფურცლებს საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღებიდან 20 დღის ვადაში წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რომელიც 2 დღის ვადაში გადასცემს მათ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს.

8. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი ხელმოწერების ფურცლების მიღებიდან 10 დღის ვადაში შერჩევითი პრინციპის საფუძველზე ამოწმებს ხელმოწერების ნამდვილობას და შედეგებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას. თუ დადგინდა, რომ ხელმოწერები შესრულებულია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა აღმოჩნდა 2000-ზე ნაკლები, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის დასკვნის საფუძველზე ბიურო უარს ეუბნება საინიციატივო ჯგუფს კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენაზე. შესაბამისად, კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელება უარყოფილად ითვლება.

9. ბათილად მიიჩნევა ყველა ხელმოწერა, რომელიც:

ა) შესრულებულია ფურცელზე, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ ფორმას ან/და, რომელიც ამ მუხლის მე-ნ პუნქტით დადგენილი წესით არ არის დადასტურებული და დამოწმებული;

ბ) არ შეიცავს ამ მუხლის მე-ნ პუნქტით დადგენილ მონაცემებს;

გ) შესრულებულია სხვა პირის მიერ, თუ ამას წერილობით დაადასტურებს ამომრჩეველი.

10. კანონპროექტის წარდგენაზე უარის მიღების შემთხვევაში საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში მიმართოს სასამართლოს.

11. ამომრჩეველთა ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის დადებითი დასკვნა, წარმოდგენილი კანონპროექტი და ამომრჩეველთა ხელმოწერები წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

12. არანაკლებ 2000 ამომრჩევლის ინიციატივით წარმოდგენილ კანონპროექტზე უმაღლეს საბჭოში მომხსენებლად გამოდის საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ან

საინიციატივო ჯგუფის უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო თანამომხსენებლად - წამყვანი კომიტეტის წარმომადგენელი. ამომრჩევლის ინიციატივით წარმოდგენილ კანონპროექტზე მომხსენებლად დანიშნული პირი არ შეიძლება იყოს უმაღლესი საბჭოს ან მთავრობის წევრი, ასევე მთავრობის ან მთავრობის თავმჯდომარის წარმომადგენელი.

13. კანონპროექტი განიხილება კანონპროექტის განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.“.

## 15. XXI თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „თავი XXI

#### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვა და დამტკიცება

#### მუხლი 109

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის (შემდგომში – რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი) მომზადება, განხილვა და დამტკიცება ხდება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად.

2. მთავრობა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული წესით მომზადებულ ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს (შემდგომში – საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი), არა უგვიანეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 15 მაისისა.

3. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი ორგანიზებას უწევს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განხილვას. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია მთავრობიდან, სამინისტროებიდან, სხვა უწყებებიდან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებიდან.

4. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი არა უგვიანეს 1 ივნისისა ამზადებს დასკვნას, რომელიც ეგზავნება მთავრობას.

#### მუხლი 110

1. მთავრობის თავმჯდომარე ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალებით.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად, მთავრობის თავმჯდომარე წარადგენს მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ (მიმდინარე პერიოდის ზოგადი მაჩვენებლების მიხედვით).

#### მუხლი 110<sup>1</sup>

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტისა და მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მოხსენების უმაღლეს საბჭოში განხილვის გრაფიკს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი და მთავრობის მოხსენება მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ასევე პროექტის განხილვის გრაფიკი მისი დამტკიცების მომდევნო დღეს ეგზავნება კომიტეტებს, ფრაქციებს, უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული, საკადრო და საქმისწარმოების დეპარტამენტს, ხოლო მთავრობას – მხოლოდ განხილვის გრაფიკი.

3. დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს და მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის

შესრულების მიმდინარეობის შესახებ განიხილავენ კომიტეტები და ფრაქციები. ისინი ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რომლებიც ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს. კომიტეტების მიერ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, შესაძლებელია ერთობლივი სხდომის ჩატარება და კომიტეტების ერთობლივი დასკვნის მომზადებაც.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად განხილვას ორგანიზებას უწევს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი, რომელიც უმაღლესი საბჭოს ბიუროს საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს ინფორმაციას რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის მიმდინარეობის თაობაზე.

5. კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვას, საჭიროების შემთხვევაში, ესწრება მთავრობის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი.

6. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული, საკადრო და საქმისწარმოების დეპარტამენტის და უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა დასკვნებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარუდგენს დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.

7. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ, წარმოდგენილი დასკვნების გაზიარების შემთხვევაში მზადდება შენიშვნის ფურცელი, რომელიც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ მომდევნო დღეს ეგზავნება მთავრობის თავმჯდომარეს. ბიუროს მიერ წარმოდგენილი დასკვნების არგაზიარების შემთხვევაში რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი შეიტანება უმაღლესი საბჭოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

8. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების მთავრობის თავმჯდომარისათვის გადაგზავნის შემდგომ არა უგვიანეს ერთი კვირისა, მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს წარმოუდგენს ინფორმაციას წარდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ.

9. წინადადებები (შენიშვნები), რომელთა გათვალისწინებაზედაც მთავრობამ თანხმობა განაცხადა, გათვალისწინებული უნდა იყოს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში. ასეთ შემთხვევაში კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებული უნდა იქნეს ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ.

## **მუხლი 110<sup>2</sup>**

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განიხილება ამ თავით დადგენილი წესით, ერთი მოსმენით.

2. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს და მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარადგენს მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის რომელიმე წევრი, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიღებული დავალებით.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენისას მთავრობის თავმჯდომარის ან მთავრობის წევრის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს, რომლის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი საბჭოს მოთხოვნით. მთავრობის თავმჯდომარის ან მთავრობის წევრის მოხსენების შემდეგ, სიტყვით არა უმეტეს 30 წუთის ხანგრძლივობისა გამოდის თანამომხსენებელი – საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენელი.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესახებ სიტყვით არა უმეტეს 20 წუთის ხანგრძლივობისა გამოდის კომიტეტებისა და ფრაქციების წარმომადგენლები.

5. გამოსვლების დასრულების შემდეგ იმართება კამათი, რომელიც მიმდინარეობს კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

6. კამათის დამთავრების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს აყენებს კენჭისყრაზე.

## **მუხლი 110<sup>3</sup>**

1. უმაღლესი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტი

დამტკიცებული უნდა იქნეს მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე (გამონაკლის შემთხვევებში – არა უგვიანეს 1 მარტისა).

2. თუ უმაღლესი საბჭო ვერ დაამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, შესაძლებელია რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის იმავე ან მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრთა შემთანხმებული კომისიის მონაწილეობით გადაამუშავებულ ვარიანტს ხელახლა ეყაროს კენჭი.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი და მისი დანართები ქვეყნდება დადგენილი წესით. ისინი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის.

4. თუ მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე უმაღლესი საბჭო ვერ დაამტკიცებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს, აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯები დაიფარება წინა წლის საბიუჯეტო ხარჯების მიხედვით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის განხილვისა და მიღების მიზნით, შესაბამისი კანონპროექტის განხილვის პროცედურების დაწყების თაობაზე, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად მტკიცდება, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის ახალი ვადების გრაფიკი.

6. კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას, უმაღლესი საბჭოს სხდომაზე შეიძლება განხილულ იქნეს მისი წარდგენიდან ერთი თვის შემდეგ.“.

#### **16. 111-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან ან მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან (გარდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ, ხოლო თუ ფრაქციები არ არის შექმნილი – ერთპიროვნულად, უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას.“.

#### **17. 112-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. თუ უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს, ამ რეგლამენტის 111-ე მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.“.

#### **18. 117-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

#### **19. XXV თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

### **„თავი XXV რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება**

#### **მუხლი 136**

1. უმაღლესი საბჭო საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი მეშვეობით ახორციელებს საერთო, თანმიმდევრულ კონტროლს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებაზე. სხვა კომიტეტები ბიუჯეტის შესრულების კონტროლს, როგორც წესი, ახორციელებენ შესაბამისი სფეროების მიხედვით.

2. მთავრობა ყოველი კვარტლის დამთავრებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, უმაღლეს საბჭოს წარუდგენს ინფორმაციას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3. საბიუჯეტო წლის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას ყოველკვარტალურად განიხილავენ კომიტეტები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით მოითხოვონ და მიიღონ საჭირო ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსირებადი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან. საკომიტეტო განხილვებს ორგანიზებას უწევს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი. აუცილებლობის შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის განხილვის შედეგები მოხსენდება უმაღლეს საბჭოს და შეიძლება უმაღლესი საბჭოს განხილვის საგანიც გახდეს.

### **მუხლი 137**

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს მთავრობის თავმჯდომარე უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 15 მარტისა.

2. მთავრობის თავმჯდომარის მიერ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში თანდართულ მასალებთან ერთად ორი დღის ვადაში გადაეცემა უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს, ფრაქციებს და უმაღლესი საბჭოს ცალკეულ წევრებს.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიღებიდან ორი დღის ვადაში, კომიტეტებთან და ფრაქციებთან შეთანხმების შემდეგ, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი უზრუნველყოფს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის გრაფიკის შედგენას, რომელსაც ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო.

5. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი უმაღლესი საბჭოს ბიუროს საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს ინფორმაციას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის უმაღლეს საბჭოში განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

6. კომიტეტები თავიანთი სფეროების მიხედვით განიხილავენ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, თავიანთ დასკვნებს უგზავნიან საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს, რომელიც თავის დასკვნასთან ერთად განსახილველად წარუდგენს მათ უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

### **მუხლი 138**

1. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვის შემდეგ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

2. უმაღლესი საბჭოს სხდომაზე რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება მიმდინარეობს ამ რეგლამენტით კანონის პროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის დადგენილი წესით, ერთი მოსმენით.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მტკიცდება იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად და სრულად ასახავს გასულ საბიუჯეტო წელს ბიუჯეტში შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობებს, ხარჯების კანონიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლეს საბჭოს შეუძლია არ დაამტკიცოს ანგარიში.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება ხორციელდება „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე-49-ე მუხლებით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.“.

## 20. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის XXV<sup>1</sup> თავი:

### „თავი XXV<sup>1</sup> უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ფორმირება

#### მუხლი 138<sup>1</sup>

1. უმაღლესი საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს მორიგი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის წარდგენა ხდება არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 აპრილისა.

2. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას, საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირება კომიტეტების, ფრაქციების, ხაზინადართა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის წინადადებების საფუძველზე და ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს.

3. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტს თავის დასკვნასთან ერთად საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი განსახილველად გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტში სხვა ხარჯებთან ერთად, როგორც წესი, მითითებული უნდა იყოს უმაღლესი საბჭოს თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის გათვალისწინებული ასიგნებანი.

4. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით, არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე, რათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გათვალისწინებული იქნეს მორიგი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში.

5. ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მისთვის გამოყოფილი ასიგნების გადანაწილებისათვის დადგენილი უფლების გამოყენება შეუძლია შეუზღუდავად, ამასთან, დამტკიცებული ასიგნებების ოდენობის 10%-ის ფარგლებში – უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, სხვა შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს დადგენილებით.

6. შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას უმაღლესი საბჭოს აპარატის საფინანსო-სამეურნეო და სატრანსპორტო უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

7. უმაღლეს საბჭოში საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან არსებული ხაზინადართა საბჭოს მეშვეობით, რომელიც არის სათათბირო ორგანო და რომლის საქმიანობის წესი განისაზღვრება ხაზინადართა საბჭოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

8. უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასიდან და სადეპუტატო უფლებამოსილების ანაზღაურებიდან ამ რეგლამენტით და უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული დისციპლინარული დარღვევების შემთხვევებში, ხელფასიდან დაკავებული თანხები აისახება უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში. ასახული თანხების მიზნობრივად განკარგვის თაობაზე კონკრეტულ წინადადებებს ამზადებს ხაზინადართა საბჭო. თანხის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას, უმაღლესი საბჭოს ბიუროსთან შეთანხმებით, იღებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.“.

## 21. XXVI თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „თავი XXVI უმაღლესი საბჭოს აპარატი“.

#### 22. 142-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაშვებია პრაქტიკისა და სტაჟირების გავლა. პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის წესს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

7. უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს აპარატის, კომიტეტების თავმჯდომარეების წინადადებების გათვალისწინებით -

კომიტეტების აპარატების შტატებს, სამუშაო პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს.“.

**23. 143-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**  
„ე) ხელფასის დაკავება.“.

**მუხლი 2.** ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

მიხეილ მახარაძე

ბათუმი,  
2007 წლის  
№